



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 01-06 390
20/05/2019

390-01-4-201905202220



ქობულეთი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პლაჟის ტერიტორიაზე შეზღონების განთავსების მიზნით სექტორების სარგებლობის უფლებით (იჯარით) განკარგვაზე პირობებიანი საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 მაისის N-90 განკარგულებისა და მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის 2019 წლის 20 მაისის N2731-01 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადებულ იქნას პირობებიანი საჯარო აუქციონი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პლაჟის ტერიტორიაზე შეზღონების განსათავსებლად სექტორების სარგებლობის უფლებით (იჯარით) განკარგვის მიზნით.
2. დამტკიცებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პლაჟის ტერიტორიაზე შეზღონების განსათავსებლად სექტორების სარგებლობის უფლებით (იჯარით) განკარგვის მიზნით აუქციონის გამოცხადების შესახებ განცხადება, თანახმად დანართისა.
3. იჯარის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 15 სექტემბრამდე.
4. ბრძანების შესრულება დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით შექმნილ მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას.
5. აუქციონში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადებების მიღება აუქციონში მონაწილეობაზე განხორციელდეს დანართში მითითებული ვადების შესაბამისად.
6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს (გ. ვერულიძე) დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება გაზეთ „ჩემი ქობულეთი“ და ვებ. გვერდზე www.kobuleti.org.ge.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში, (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N-30) გაზეთში "ჩემი ქობულეთი" გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მირიან ქათამაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა